



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211764

თარიღი:25/06/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 36

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482115533, 04/06/2021) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკრებულებაში არსებული უძრავი ქონების - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში მდებარე ამბულატორიის შენობაში (ს/კ 29.13.37.234) განთავსებული 14.2 კვ.მ ფართის (ერთი ოთახი) აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემისას, საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 426 ლარის ოდენობით. წერილს თან ახლდა ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვრულია 426ლარით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულებაში არსებული უძრავი ქონების - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში მდებარე ამბულატორიის შენობაში (ს/კ 29.13.37.234) განთავსებული 14.2 კვ.მ ფართის (ერთი ოთახი) აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემისას, საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 426 ლარის ოდენობით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

